| გაზეთი ღირს | | | |
|---|---|---|---|
| თთვე | მანა კ. | თთვე | მან. კ. |
| 12 . . . | 10 — | 6 . . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაბეჭდად და კერძო განცხადებათ დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ჯუჯიაში, ავჭალის ქუჩა, თ. გარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი ორვა კაპეიკი.

1877—1891 სახოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1891


კნეინა მარიამ დავითის ასული ჯავახიშვილისა, თ. გრიგოლ ალექსანდრეს ძე ჯავახიშვილი და კნეინა ნინა ალექსანდრეს ასული ბარათაშვილისა, აუწყებენ რა ნათესავთა და ნაცნობთა, რომ 21 თებერვალს, დანიშნულია წლის წირვა და პანაშვიდი პირველის მეუღლისა და მეორეთა — ძმის, გარდაცვალებულის თ. ილია ალექსანდრეს ძის ჯავახიშვილისა, სთხოვენ მობრძანდნენ სოფელს ხოვლეს, დილის 10 საათზედ საკუთარს ღვთის-მშობლის ეკკლესიაში.

(1—1)

# ივერია

გამოვა 1891 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1891 წლისთვის, მიჰმართოს:

ტფილისში: ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, ვარანცოვიძეგლის პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთაშორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

В Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ".

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელ იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესახვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

# ქართული თეატრი

სამშაბათს, 19 თებერვალს,

ბენეფისი

ბ. გ. გედევანოვისა

ქართულ დასის ამხანაგობისაგან წარმოდგენილი იქნება

I

ქვარქვარე თუთაბერი

დრამა 5 მოქმედებად გ. ერისთავისა.

II

მიტო ანციშვილი

ვოდევილი 1 მოქმ. ფრანგულიდგან

მოთამაშენი: ქ-ნი საფაროვი-აბაშიძისა, ავალოვისა, ტატიშვილისა და სხვ. ბ-ნი გედევანოვი, გუნია, კანდელაკი, შათირიშვილი, თამაზიშვილი და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი 8 საათზე

კვირას, 24 თებერვალს, „ტფილისის კლუბის" დარბაზში დანიშნულია ქართულ დრამატიულ საზოგადოების სასარგებლოდ

# ბალი

ბილეთის ფასი — 2 მან.; დასაწყისი — საღამოს 9 საათზე.

ბილეთები ისყიდება კნ. ელენე მიხ. ანდრონიკაშვილისას და ტფილისის კლუბში.

(7—2)

## ახალი ამბავი

*** დღეს, ორშაბათს, ტფილისის ქალაქის თავმა ა. მატინოვმა აცნობა ბ-ნ ტფილისის გუბერნატორს, რომ ამ დღიდამ ჩემის თანამდებობის ასრულება მივანდე ქალაქის თავის მაგიერს პ. იზმაილოვს, რადგან 1-ლ მარტიდამ სრულიად თავს ვანებებ ამ თანამდებობასაო. გუშინვე ბ-ნმა მატინოვმა მისწერა ბ-ნს იზმაილოვს:

„მარტის 1-ლ რიცხვიდამ თავს ვანებებ ჩემს თანამდებობას — ტფილისის ქალაქის თავობას. გთხოვთ ეს გარემოება მოახსენოთ ქალაქის საბჭოს."

დღევანდელს კრებას ტფილისის საბჭოსას, რომელიც უნდა ბ-ნ იზმაილოვის თავმჯდომარეობით გაიმართოს, მოხსენდება ზემო-მოყვანილი წერილი ა. მატინოვისა.

*** გუშინ-წინ, შაბათს, 16 თებერვალს, ტფილისის სამოსამართლო პალატაში დაიწყო გარჩევა ბ-ნ ა. ს. ყორღანოვის საქმისა. როგორც ისმის, ეს დიდი საქმე, რომელიც ორჯელ გარჩეულა პალატაში და ორჯელვე დაურღვევია სენატს, ვერ გათავდება ორ კვირაზე უფრო ადრეო.

*** როგორც შევიტყვეთ, ა. მატინოვი ამ დღეებში მოიწვევს ყველა ხმოსანს ერთად კერძო კრებაზედ იმ განზრახვით, რომ მოელაპარაკოს მის მაგიერ ქალაქის თავის ამორჩევის შესახებ.

*** მომავალ შაბათს, თებერვლის 23, საარტისტო საზოგადოების დარბაზში გამართული იქნება კონცერტი, რომელშიაც მიიღებენ მონაწილეობას ჩვენის ქალაქის საუკეთესო არტისტები. მთელი შემოსავალი ამ კონცერტისა ქალაქის სკოლების ღარიბ მოსწავლეთა მშველელ საზოგადოების სასარგებლოდაა დანიშნული და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ჩვენი საზოგადოება თანაგრძნობით მოეკიდება ამ საქმეს. ეს დამხმარე საზოგადოება დიდი ხანი არ არის, რაც არსებობს და ბევრი ღარიბ მოსწავლეთათვის აღმოუჩენია შემწეობა. მათ შორის უმეტესი ნაწილი ქართველები არიან ხოლმე.

*** მას აქეთ, რაც ალექსანდრეს ბაღში ეგრედ-წოდებულის „საისტორიო მუზეუმის" შენობის აგება დაიწყეს, მთელი ზემო-ნაწილი ამ ბაღისა სრულებით შეკრულია და ყველა კარგად ჰგრძნობს, რამდენად მოაკლდა სიამოვნება ამ ბაღში სეირნობისა ამ სამის წლის განმავლობაში. ალექსანდრე აკოფოვი, ქალაქის ფარდულების მოიჯარადრე, სხვათა შორის ამ ბაღშიაც ჰყიდის მადნის წყალსა; პირობით შეკრულია ქალაქთან რამდენისამე წლის ვადით. ეხლა ა. აკოფოვი სჩივის, რომ ჩვენი ბაღი მაწანწალა ხალხის მოედნად გადაიქცა, რიგიანი ხალხი იშვიათად დადის აქ სასეირნოდაო, რადგან გოლოვინის პროსპექტისა და ლორის-მელიქოვის ქუჩის მხრით ბაღი სულ შეკრულია და მუზეუმის დასრულება დიდს იმედს მაძლევდა, რომ ხალხს მოიზიდავდაო, მაგრამ იმის დასრულებას-კი არა ეშველება-რა. ამიტომაც სთხოვს ქალაქის საბჭოს, ხელ-შეკრულობა ამხსენით და, თუ ინებებთ, ამ წლის გარდასახადიც მიიღეთო, მხოლოდ მომავლისათვის-კი გამათავისუფლეთო.

*** სამხედრო გამგეობამ დანიშნა სანიტარული კომისია, რომელმაც ამ დღეებში დაიარა მე-16 გრენადერის მინგრელსკის პოლკის ყაზარმები და იმისი მიდამო ადგილები — ქუჩაეზოები ახლო-მახლო მცხოვრებთა. კომისიამ აღმოაჩინა, რომ უწმინდურობა პირდაპირ ქუჩაში გამოაქვთ ამ მიდამოს სახლის პატრონებს; ამის გამოც ყაზარმების მთელი არე-მარე მეტად დაშხამულია და უწმინდურების მტვერსა და სუნს ქარი ადვილად შემოიტანს სალდათების სადგომებში და გააჩენს ავადმყოფობასაო. განსაკუთრებითი ყურადღება მიუქცევია კომისიას სურბ-სარქისის აღმართისათვის, რომლის გასუფთავება და დახურულ არხის გაჭრა აუცილებლივ საჭიროაო, თან პოლიციის ზედამხედველობაც განუწყვეტელი უნდა იყოს აქაო.

ეს გარემოება აცნობეს ქალაქის გამგეობას, ხოლო გამგეობამ თავის მხრივ აუწყა პოლკის სამმართველოს, რომ საჭიროა პოლიციამ თვალი ადევნოს, ყაზარმების მიდამო ქუჩებში ეზოებიდამ უწმინდურება არ გამოიტანონო და რაც შეეხება არხის გაჭრას, როცა-კი შესაძლო იქნება, ქალაქი აასრულებს კომისიის მოთხოვნილებასო.

*** ფორკატტი ტფილელებს ახალს გასართობს უმზადებს სადიდ-მარხვოდ. როგორც წინად განზრახული ჰქონდა, ამ დროისათვის უნდა მოეწვია იტალიანური ოპერა, მაგრამ, როგორც სჩანს, ეს საქმე ვერ მოხერხებია. ეხლა, როგორც შევიტყვეთ, ფორკატტის მოუწვევია ფრანგული საოპერეტო დასი, რომელშიაც სხვათა შორის ურევია აგრეთვე შესანიშნავი შანსონეტებისა და საუკეთესო ფრანგ...

# ფელეტონი

## მეისრე

(სურათი რკინის გზის ცხოვრებიდგან)

მზე ამაყად გადაეშო კავკასიონის მთებს და იმის სხივებისაგან ადრეულად ამოპარულ მთვარის ისედაც სუსტს სხივებს შეება მიეცა, არე მარემ მკრთალი ფერი მიიღო და დღე ღამით შეიცვალა. მუშა ხალხმა დღიური მუშაობა შეათავა და მუშაობისაგან დაღლილ-დათენთილი, ქირისოფლის წმენდით ქოხ-სახლებისკენ მიეშურებოდა დასასვენებლად. პატარა ხანიც — და სოფელში სრული მყუდროება ჩამოვარდა. სოფელი სრულს განცხრომაში იყო... სოფლის მყუდროებას მხოლოდ ძაღლების წკავწკავი და სოფლის მახლობელ სადგურზედ მიმავალი ორთქლის მავალის სტვენა-ქშენვა თუ არყევდა და არღვევდა. აგერ ორთქლის მატარებელმაც გაიარა... ძაღლები თითქო ძილს მიეცნენ... ყველა დადუმდა... უდაბურ ალაგს დაემსგავსა არე-მარე. სადგურის ფაფანტული სანათურებიც რომ დაექროთ, ასე გეგონებოდათ, ამ არემარეში ადამიანის სულიც არა ტრიალებსო. მაგრამ ჩუ, ვინ შეარყია ეს სიჩუმე! განა ამ საერთო მოსვენებაში ვინა ფხიზლობს?

სადგურის აღმოსავლეთის განაპირ ისართან, ფარდულ ქვეშ, პატარა ტახტზედ წამოწოლილა მეისრე სიმონი, გაშტერებული შეჰყურებს ცაზედ მედიდურად მცურავს მთვარეს და დაღონებულის კილოთი ნელის ხმით ღიღინებს:

> თავო ჩემო, ბედი არ გიწერია,
> ჩანგო ჩემო, ეშხით არ გიყდერია!

საერთო დუმილმა და მყუდროებამ, თითქოს მაზედაც იმოქმედაო, სიმონიც გაჩუმდა და ხმა-გაკმენდილი. ყმაწვილმა კამა ერთი გულ-საკლავად ამოიოხრა, ტყავზე მისდო თავი და ჩაეძინა...

ჩაეძინა-კი, მაგრამ დღეს იმის ძილი უდარდელი და მოსვენებული ძილი არ იყო, კურდღელსავით ცალი თვალი და ყური ფხიზლად ჰქონდა. დღეს მორიგე დარაჯი იყო სიმონ სადგურზე შემოსავლელ ისრისა... უცებ ფეხის ხმა შემოესმა... იფიქრა, სადგურის უფროსი მოდის დასაზვერავათაო, და ფიცხლავ წამოხტა ფეხზე... დაინახა მოულოდნელი სტუმარი და იქვე, იმავე ალაგას გაშრა და გახევდა. იმის წინ ლიზა იდგა...

— გაგიკვირდა განა, რომ ამ დროს აქ მოვედი?

— ლიზა, შენ-კი ხარ?

— რა დაგემართა! ვერა მხედავ, რომ მე ვარ!

— მერე ამ დროს აქ რამ მოგიყვანა?..

— როგორ თუ რამ მომიყვანა? არა გრცხვენიან, მაგასა მკითხავ? განა გუშინდელს შენს ფიცს ეგ სიტყვები შეჰფერის?

— მერე არ გეშინიან? მამა შენი ხომ დღეს სადგურზეა! აქ რომ გნახოს, ხომ ის არის, მეცა და შენც დავილუპებით...

— ნუ გეშინიან! მამაჩემი ტკბილს ძილშია! შენ ვერ წარმოიდგენ, რა მოუსვენარ ყოფაში ვიყავ. ჩემს ჯიბრზე თითქო მთვარეც უფრო უკეთ ანათებს დღეს... აგერ შუა ღამე გადასულია... აქამდის ვებძოლე ფიქრებს, მაგრამ ვერაფრით დავძლიე სიფხიზლე... რამდენსაც გამოვიხედავდი ფანჯრიდგან, იმდენად — უფრო მიცხოველდებოდა წამოსვლის სურვილი... მთვარე თითქო მანიშნებდა, რომ მფარველობას გაგიწევო! განა კიდევ უნდა გაგიმეორო, რომ მიყვარხარ?

ლიზას, თითქო ლაპარაკით დაიღალაო, მუხლები მოეკვეცა, ტახტზედ ჩამოჯდა და გაშტერებით შეჰყურებდა თავ-ჩაღუნულს სიმონს...

— გუშინაც გითხარ, — ამოოხვრით დაიწყო ლაპარაკი სიმონმა, — დამივიწყე-მეთქი. ჩვენ შორის ერთობა შეუძლებელია. სად მე, საწყალი მეისრე, და სად შენ, სადგურის უფროსის ქალი... აბა, ერთი შემოჰხედე ჩემს ყოფას; ასე ჰგონია ბუხრების მილი უწმენდიაო, ისე ვარ გაშავებული... განა ფიქრად-კი გასატარებელია?..

სიმონი უცებ გაჩუმდა. . ლიზა ქვითინებდა... ქალის ცრემლმა სვიმონი მთლად მოალბო და ლიჩრად აქცია. მოუჯდა გვერდით ლიზას, მოხვია ხელი წელზე და მიუალერსა.

— ნუ, ნუ სტირი, ლიზა! გუშინაც გითხარ, რომ მიყვარხარ-მეთქი. პატიოსნებას გეფიცები, შენს ბედნიერებას შევწირავ ჩემს თავს... მაგრამ...

— სუ!.. ლიზამ პირზე ხელი მიიფარა: ნუ იტყვი სიმონ! ვიცი, ვიცი, რომ სხვებმა არ იციან შენი ვინაობა, არ იციან ვინ და რა კაცი ხარ, და მხოლოდ აწინდელის ყოფა-სამსახურით გაფასებენ... მაგრამ მე-კი ვიცი ყველაფერი და სწორედ იმიტომ ვტირი, რომ ვერაფრით შემიძლიან დაგარწმუნო, რა გვარად მიყვარხარ... გეფიცები, მხოლოდ შენ თუ გახდები, სხვა არავინ, ჩემის გულის მფლობელი... მამას რა ნება აქვს, ან როგორ შეუძლიან ამომაცალოს გულიდგან ის, რაც, იმან-კი არა, განგებამ ჩამინერგა... ხალხი?.. ხალხს რა ნება აქვს გაჰკიცხოს წმინდა უანგარო სიყვარული... შენ, მხოლოდ შენ შემიბრალე სიმონ! ნულარ დამტანჯავ, უნდა იცოდე, რომ შენი გულ-გრილობა უდროოდ მომიღებს ბოლოს...

სიმონმა ველარ მოითმინა, გრძნობის გატაცებით გადაჰხვია ხელი და შეყვარებულნი ცას დაეწივნენ.

სადგურზე მომავალ მატარებლის სტვენამ გამოარკვია შეყვარებულნი, შეშინებულ ნადირსავით წამოხტნენ ორივენი, სიმონი ისრისკენ გაექანა და ლიზა-კი მალულად შინისკენ გაეშურა.

—

სადგურის უფროსი უდროოდ დაქვრივდა და დარჩა ერთად-ერთი თორმეტის წლის ქალი ლიზა. ცოლის სიკვდილს შემდეგ მამამ ქალი სულ წვრილწვრილ-ლა დასტოვა სასწავლებელ-

გულ ოპერეტის მომღერალი ქალი, ქ-ნი ანნა ქუდიკი. ეს დასი ტფილისში 10 მარტს დაიწყებს თავისის წარმოდგენების მართვას.

*** გორი: გორის საკრებულო ეკკლესიის მღვდელმა ბლაღოჩინმა ი. გამრეკელმა სთხოვა მის მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობას საქართველოს ეგზარხოსს პალლადის, ნება მოგვეცით კომიტეტი შევადგინოთ, ფული მოვაგროვოთ და იყართის ტაძარი შევაკეთოთო. ეს ტაძარი ძლიერ ძველი ნაშთია, მშვენიერის ძველებურის ხელოვნებით არის აშენებული და სწორედ საჭიროა ეხლავე შეკეთდეს, რომ მრავალ სხვა ტაძარსავით არ მიინგრ-მოინგრეს უპატრონობით. მისს მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობას ძლიერ ესიამოვნა მ. გამრეკელის თხოვნა, ნება მისცა კომიტეტის შედგენისა და თავის მხრითაც აღუთქვა დახმარება და შემწეობა.

იქიდამვე: ჯერ ჯერობით-კი არ ვიცით ნამდვილად რომელს დღეს მოგვიხდება, მაგრამ ამ მოკლე ხანში უთუოდ ვაპირებთ ქართულ წარმოდგენის გამართვას. შემოსავალი დ. ზ. ბაქრაძის სახელობაზე დაარსებულ ფონდისათვის გვაქვს დანიშნული.

*** ქუთაისი: 14 თებერვალს ვიტუშინკის თეატრში ქართული წარმოდგენა იყო დანიშნული. წარმოდგენის დროს ცეცხლი გაჩნდა ზევით ქანდარაზე. ხალხი გარეთ გამოცვივდა, წარმოდგენა დაიშალა.

წელს გაიმართა აქ სარძევე. სარძევეს გამართვა პირველი მაგალითია ქუთაისში. აქამდისინ რძის სყიდვა ოჯახში თუ შეიძლებოდა, თორემ სხვაგან არსად არ იყო მისი შოვნა.

ქრისტეშობისთვე და იანვარი ისე მოგვშორდა, რომ თოვლი არ გვინახავს; წარმოიდგინეთ, იანვარში ბოშვები იას ჰკრეფდნენ მინდვრებში. თებერვალმა-კი მოიქრუშა. ცოტაოდენი თოვლიც გვეწვია. ყინვა-სიცივეებმა საკმაოდ შეგვაწუხა. ეგებ ამ ყინვა სიცივეებმა მაინც ბოლო მოუღოს ქუთაისში გახშირებულს წითელასა და ყვავილს.

*** სიღნაღი: ამ დღეებში ერთმა მაღაროელმა გლეხმა მოჰკლა ერთი 12 წლის ყმაწვილი. გამოძიება სწარმოებს. ჩვენსკენ ამინდები კარგია. სწორედ ვენახებში მუშაობისთვის კარგი დროა, მაგრამ ჭიგო არ გახლავთ, სახელმწიფო ტყეში ვერ მიდის ხალხი და ამის გამო დიდს გაჭირვებაშია. ვერ წასულა იმიტომ რომ შორს არის ძლიერ. ფული-კი მიცემული აქვთ ტყისათვის და ბარათებიც აღებული. ჩვენშიაც დაიბადა აზრი წიგნ-საკითხავის გამართვისა. არ ვიცით-კი ეღირსება ამ აზრს განხორციელება თუ არა.

*** ხევი: ჩვენში ერთი უცნაური მკითხავი დედაკაცი გაჩნდა. ამ მკითხავ დედაკაცს ძალიან ეტანება ხალხი. სამკითხაოში მიაქვთ ნახევარ თუნგი არაყი და ერთი ცხვარი. ხან აქეთ ხეობაზედ გაიწვევენ და ხან იქით. ამას წინად მთის ხეობაში 20 მანათამდე ფული მოეგროვებინა მკითხაობით. ეხლა როგორც ამბობენ, მლეთს წაუყვანიათ სამკითხაოდ და იქიდამ ლუდის ხეობა უნდა მოიაროს. მღვდლები ძალიან ებრძვიან ამ მკითხავს, მაგრამ ხალხს მაინც სჯერა მკითხაობა და ტყვილაუბრალოდ ილუპება.

*** თებერვლის 16, იარმუკაში, კავკავის მცხოვრებლის ილარიონ ტიმოფეევის ორის წლის შვილი ეზოში გავლის დროს შუშაზე დაეცა და ისე მძიმედ დაშავდა, რომ სამის საათის შემდეგ გარდაიცვალა.

# დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

ხევსურეთი, 1 თებერვალს. ნეტა არის სადმე სხვა ისეთი ღვთისა და კაცის მიერ დავიწყებული მხარე, როგორც ხევსურეთი? არ გეგონოსთ, მითომ ეს მართლა ტრამა და უკაცური ქვეყანა იყოს. უკაცური მხოლოდ იმით ეწოდება, რომ იქ ვერ იპოვნით თუნდ ერთს ადამიანის შვილს, იმდენად განვითარებულს, რომ იმასთან შესაძლებელი იყოს ცოტაოდენი კაცური ლაპარაკი. ხევსურის ჩაცმულობა სმა-ჭამა, ცხოვრების ადათები და ჩვეულებანი, შეხედულებანი შესახებ ქვეყნისა და ცისა, ერთის სიტყვით ყოველივე ის, რაც შეადგენს „ხევსურს" და იმის ცხოვრებას, გვეუბნებათ მხოლოდ იმას, რომ ხევსური ჯერ ისევ, თუ შეიძლება ასე ვსთქვათ, ნახევრად ველურია. დიაღ, ასეთია ხევსურეთი, ასეთის ხალხით არის დასახლებული ის ღადეღუდე, ხრიოკ-ხრიაკი, კლდე-ჭიუხიანი ქვეყანა ხევსურეთი, საცა ბევრგან, მოლექსისა არ იყოს: „სუსტ მწერთა მხარნი არც-კი აფანცქალებულან", მაგრამ კაცებს-კი თავის ლაბირინტიანი სახლ-კარები წამოუწკეპიათ! აქა ბუდობდნენ ეს „ბწკლიანნი ვეფხვნი", კმაყოფილებით და უშფოთველად ამ საუკუნის პირველ ნახევრის დამლევამდის. მას აქეთ-კი, ცოტა არ იყოს, შეაფუცხუნა ეს „ყმანი" ახალ-ახალმა გარემოებამ. ჯერ ქორწინებამ გამოჰყო ხევსურების ნიადაგზედ თავი; მას აქეთ აქციზმა, ქვაბების საქმემ: რაც ამათ დააკლეს, ის „სალდათობამ" მიუსართა და თავ-ზარი დასცა კლდე-კინჭუხის მოსახლე ჰანგოსან მოყმეებს... სხვა სუნმა დაიარა... აჩქამდა ახლა ინჟინერის ცულ-ქარჩი. რკინის გზის ადგილს პლანვა და ზომა დაუწყეს. ხევსურს, „მობუბუნე ხარს" ისევ ყურზედა სძინავს თავის საბინაოზედ. არ იჩუჩება. ერთი ამას-კი კითხულობს ფლეგ-მაჩიურის გულ-გრილობით: „მაშ ამაზედაც თუ შამაჩნდების ხევსურეთის გამამცხვირავ „ბარახოტაი" ბაბანითად ოდიგრობითა"?

ბოლოს, წარსულ 1890 წლის ენკენისთვიდამ საზოგადოებამ კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგინებისამ განიზრახა სკოლა გაემართა ხევსურებისათვის, რის გამოც ერთის ხევსურისაგან სოფელ ბარისახოში სახლი იქირავა. მასწავლებელიც დანიშნა... იმონებ ერთი წელიწადი საცდელად დაარსა ეს სასწავლებელი: „დაიცა, ხევსურები სწავლას მოისურვებენ, თვითონ მოსძებნიან „სკოლას, თუ არაო..." სასწავლებლის დაფუძნება კარგი აზრია ხევსურების გამოსაღვიძებლად, მაგრამ ვაი შენს მტერს, რომ ხევსურთ ნიადაგზედ დამრჩალი და დამყარებული, სკოლა, თუნდ ამ ასს წელიწადშიაც საძირკველს ვერ ასცილდება... რა ვიცი, როგორ მოიქცევა ამ შემთხვევაში წარმომადგენელი ამ საზოგადოებისა სამრევლო სკოლების ინსპექტორი მამა ლეონიდი: ჩაჭმლის სასწავლებელს, და ილონისძიებს რასმე იმის სამუდამო სიცოცხლის და აღტყინებისთვის?..

ჯერ-ჯერობით-კი ადგილობრივი მასწავლებელი ბევრს ეჩიჩინება ხალხს და აგონებს სწავლის საჭიროებას, სთხოვს სასწავლებელში შვილების მორეკვას. მაგრამ დღემდის 7—8 მეტი არც-კი ჰყავს ჩაწერილი. „ვინ რას იტყოდაო, შამომჩივლა: „თუ ესენი მაინც ყოველ დღე დადიოდნენ, თორემ ჩაწერილმა რა გამოვიდა. სამი იმათგანი მესამე დღესვე გაიყვანეს, ხატი გაჯავრდა, არ მოგვეხდინაო. დანარჩენები ერთი-ორი დღე ერთმანეთზედ რომ ატარონ, მერე აღარ გამოჰგზავნიან. მივარდები, ეკითხავ: „კაცო, რა ღმერთი გიწყრებათ, რატომ აღარ უშვებთ? ან შამოყვანა რა იყო, ან გაყვანა? თუ გინდა რო ისწავლოს რამე, მუდამ ავლიე, თუ არა და მაგრე სად გაგონილა?"

— ნუ გეწყინება, ჩემო მასწავლელო, ვეღარ ვადენ...

— რად არ, ბიჭო?—ხმას აღარ იღებს: ალბად, ან გაუგონია რამ ჭორი, საზნევი სკოლაში მოსწავლეთა მომავლისა, ან მკითხავს დაუშლია, და იმიტომ აღარა წადინობს მამა. გარწმუნებ, რომ ეგ სულ ტყუილია, სიცრუეა, ვეხვეწები კვლავ გამოგზავნას—ბოლოს ვიყაბულებ... მაგრამ რა გამოვიდა? ხვალ ან ის, ან სხვები ისევ იმას მიზმენ. ასეა ჩემი საქმე: ყოველ დღე მარტო 3—4 დაიარებიან; ისინიც ხან მოვლენ, ხან არა. ამას იქით რა იქნება, ღმერთმა უწყის. თუმცა, [illegible] მა, ბევრნი არიან ძალად სწავლების წინააღმდეგნი, მაგრამ მე-კი აქ უსარგებლოდ არ მიმაჩნია ძალადობა მით უფრო, რომ ბევრის ხევსურისაგანმსმენია: „ნეტავ ვინ ძალით-კი წაგვართობდენ სასკოლავედ შვილებსა: მაშინ ხატის და ქვეყნის მუნათშიით და პირშიით გამოსულები ვიქნებოდითო". ამიტომ მე ვთხოვე ერთ წარმომადგენელს თიანეთის სამხრო მართველობისას და ჩაფრებით დახმარებას დავენუკვე. იმედიცა მაქვს ამისრულებსო." ღმერთმა ჰქნას.

— შენ რაღა გაძლებინებს ამ ჯოჯოხეთში-მეთქი? ვკითხე.

პასუხის მაგიერად ხელი წამომავლო, 11 გრადუსიან სიცივეში კარში გამომიყვანა და გამახედა: იქ მხოლოდ თოვლის არზანით ჩამოლესილი და ჯანღ ჩამოხვეული მთები მოჩანდნენ ცაზედ მიკრულები, თითქოს გოლიათეპი თავისავით საკვირველ დედას მკერდზედ საწოვნელად მიჰყვეიანო. მე მარტო ეს-ღა უთხარ: „ღმერთმა შენც მშვიდობა მოგცას, ძმაო, და მაგათაცა-მეთქი."

სხვად ხევსურეთი ისევ ისეა, როგორც უწინ გინახავთ: უფრო ჩამობღერღულ-ჩამოკაწრული და ჩამოსაცოდავებულია ამ ყინვა-თოვლებისაგან. ხევსური გამოხვეულა ათასკან გამთელებულ ტყაპუჭში და „ფეხ-თითიანი" გამოიბლეჯრება გარეშამოზედ. ან კიდე კერის პირას დამჯდარი მძიმე-მძიმედ ჩიბუხს აბოლებს, წრინტავს და ცოლსა სტუქსავს: „ათარ მანდით! ჭალე მიქენ სისხლ-დუმაის კეცეულნ და მამართე, თორო, განეე, ავადენ „ტყრაშთ"—ხო იცი... თუ მალე ათარეპა „თარუა," ხო პატიოსანი, თუ არა და გასდვებიან კიდეც, „ტყრაშნი" არც ისკანათი, რკინის ცეცხლის სახრეკლით, რომელიც იმის ბატონს ქმარს აქვე გვერდით უძევს და წამ-დაუწუმ გამოაქვს ნაკვერჩხლები ღველფიდამ ყალიონისათვის: აფსუს რომ თარუას ადგილას თქვენ არა ბრძანდებით, ჩვენო „ბარის" კაბოსანო [illegible] განაც მაშინ [illegible] კარგა დააფასებდით თქვენ მიერ გაკაფონწებულს.

თქვენსა ბუდნას ქმრებსა,
თქვენს უურ-მოჭრილ ყმებსა!

პარასკევა

---

ში. სამის წლის მარტოობამ შუაკაცად მოსულ მიტროზედ ვერაფერ სანუგეშოდ იმოქმედა. წინად თუ მაგრე რიგად არ ეტანებოდა სასმელს, მიზეზი ზოგი შიში და ზოგიც ცოლის ხათრი იყო და, რაკი მარტო დარჩა, მერე გამარტოებულ სადგურზე ცოტ ცოტა ისე შეეჩვია სმას, რომ თავისუფალ დღეს კარგა მოზრდილი ბოთლი არაყი ჯერად ძლიესა ჰყოფნიდა. არყის სმაში ჰპოულობდა ყველაფერს, დროს გატარებასაცა და სიამოვნება-სიხარულსაც.

პირველში ლიზა რომ დაბრუნდა მამასთან, არ იცოდა მამის ჩვეულება და ამიტომ უკვირდა ხოლმე, რომ მიტრო მთელს თავისუფალს დღეს ცალკე ოთახში შეკეტილი ატარებდა. ლიზამ სრულიად არ იცოდა, რომ როცა იმის მამა ოთახს შეიკეტავდა, მაშინვე სტოლზედ დაიდგამდა ხოლმე არყით სავსე ბოთლს, კარგად შეიხურებდა ტვინ-გულს არყით, გალეშილი იქვე მიწვებოდა და მეორე დილამდე ფეხ-გაუნძრეველი ეძინა. არა ერთხელ და ორჯელ დააპირა ცნობის-მოყვარეობით გატაცებულმა ლიზამ მამის ოთახში შესვლა, მაგრამ ამაოდ. ყოველთვის ბუზღუნით გამოისტუმრებდა ხოლმე მამა, ბოლოს რაკი მსახურისაგან მიზეზი შეიტყო, ლიზა ისე იქცეოდა, თითქოს არაფერი ვიციო! მამა თავისუფალ დროს არაფს უნდებოდა და სამსახურის დღეს კიდევ ხომ სრულიად არა სცალოდა ლიზასთვის. ასაკში მოსული ქალი—მარტოობას ვერ იტანდა, სული და გული ეხუთებოდა და თავისდა უნებურად ან სადგურზე გამორბოდა წამდა-უწუმ, ან მეზობელ მამის თანამოსამსახურეთა სახლობაში ატარებდა დროს.

ერთ გვარი უფერული ცხოვრება მალე მოსწყინდა ლიზას... მამას სთხოვა, დედის ნათესავებთან გამგზავნეო, მაგრამ მამამ ისეთი გადაჭრილი უარი სტკიცა, რომ მეორედ გამეორება ლიზამ ველარ გაბედა და დაემორჩილა თავის ბედს. ლიზას ერთად-ერთს დროს გასატარებელი—წიგნები იყო, რომლებიც არა ერთხელ წაეკითხნა და თითქმის ზეპირად იცოდა, და გამარტოებული სეირნობა. ჰაერზე სეირნობამ ისე გაიტაცა ლიზა, რომ ძლიერ ხშირად კარგა დიდს მანძიზედ მოსცილდებოდა ხოლმე სადგურს. ლიზას მარტო სეირნობა მამას არაფრად ეჭაშნიკებოდა და თან ჯერ-ჯერობით თავის მეისრეებს ატანდა ხოლმე... სადგურზე სულ ოთხი მეისრე იყო: სამი თათარი და ერთიც ქართველი—სიმონი... ლიზა ყოველთვის, ხმა-ამოუღებელი სეირნობდა და იდუმალად ბუნებას ესაუბრებოდა ხოლმე, როცა თან თათარი მეისრე ახლდა, რადგან თათრებმა არც ლაპარაკი და არც ჯეროვანი სიტყვა-პასუხი იცოდნენ... სამაგიეროდ, როცა სიმონი გაჰყვებოდა ხოლმე, მაშინ ლიზა დაუღალავად ლაპარაკობდა და თითქმის აღარც-კი აცდიდა სიმონს პასუხს.. პირველში ლიზა სიმონს ისევე ექცეოდა, როგორც სხვა მეისრეებს, მაგრამ თანდათან, რაკი გაიცნო, რაღაც მოკრძალებით ეჭირა იმასთან თავი. ლიზას აკვირვებდა სიმონის მშვენიერი და ჭკუა-დამჯდარი ლაპარაკი. ბოლოს ხომ ისე გაიტაცა სიმონმა ლიზა, რომ თავისდა უნებურადა ჰკითხა:

— სიმონ! ასე მშვენიერად რუსული სად ისწავლე? სასწავლებელში იყავ?

— არა, ბატონო! პატარაობითვე ჩემმა მშობლებმა ერთ რუსის ოჯახში დამაყენეს მოსამსახურედ. შვიდი წელიწადი ვიყავ იმათთან და იქ ვისწავლე ლაპარაკი, იცრუა სიმონმა.

— განა წერა-კითხვა, არ იცი?

— არა, ბატონო...

— არც გინდა, რომ ისწავლო!

— მინდა-კი, მაგრამ, აბა სად მაქვს საიმისო დრო! ან აქ ვინ მასწავლის.

— შენ რა გინდა:—რომ კასწავლოს ვინმე, ისწავლი?..

სიმონი თითქო მიუხვდა ლიზს აზრს.

— მაინც დრო არა მაქვს სიმისო...

— მე გასწავლი! არა უშავს-რა. მამა ჩემსა ვსთხოვ, რომ დღეში რამდენიმე საათი განგათავისუფლოს ხოლმე წერა-კითხვის სასწავლებლად.

— არა, მამა თქვენს ნურაფერს ეტყვით! არც დათანხმდება ა იქნება...

— შენ დარდი ნუ გაქვს, მე დავათანხმებ!..

ამ ლაპარაკით სადგურს მოუახლოვდნენ. ლიზა სახლში შევიდა და სიმონი-კი სადგურზე მოსულ ხალხში შეერია.

—

— უეჭველად უნდა დავითანხმო მამა ჩემი! საწყალი სიმონი თავის უსწავლელობით დღეს ესრედ არის! ვინ იცის, წერა-კითხვა რომ ესწავლებინათ, რა კაცი დდგებოდა. ზედვე ეტყობა, რომ კარგის ოჯახის შვილია... ზრდილობიანი, მოთავაზებული! არა ჰგავს გაუთლელ უდრეკელა სხვა მეისრეებს... აბა გაჰხადონ მეისრის გათხუპნილი ტანსაცმელი: დარწმუნებული ვარ, რომ მშვენიერი ყმაწვილი კაცი იქნებოდა სიმონი..

ამ ფიქრებში იყო ლიზა, რომ მოსამსახურემ სამოვარი შემოიტანა. პატარახანს უკან მიტროც შემოვიდა ჩაის დასალევად.

მამაშვილი სტოლს შემოუსხდნენ. ჩაის სმის დროს ლიზამ სთხოვა მამას, რომ ნება მიეცა სიმონს წერა-კითხვა ვასწავლოო. მიტროს შვილის სიტყვები სიცილად არ ეყო. გული რომ იჯერა სიცილით მიუბრუნდა ლიზას და უთხრა:

— კარგი აზრი მოგსვლია, მაგრამ მოგვგვიანებია-კი... სიმონი შენზე უკეთ სწერს და კითხულობს.

— როგორ... მართლა, მამა?

— შენ არ მომიკვდე! მშვენიერადა სწერს სიმონი! განა არ შეგიმჩნევია, როცა მორიგად არის თავის სადარაჯოში ყოველთვის წიგნი უდევს გვერდით და თავისუფალ დროს კითხვაში ატარებს?..

ლიზა ჩაფიქრდა და მამას პასუხი აღარა მისცა-რა... მიტრომ ჩაი დალია და სადგურზე გავიდა.

— ნეტავ მართალი მითხრა მამამ? თუ მართალია, სიმონმა რად დამიმალა! ჰფიქრობდა ლიზა.. ოჰ! საწყალი, იქნება სირცხვილისაგანაც არ გამოტყდა, რომ წერა-კითხვა ვიციო. კარგი, მაგრამ ჩემთან რისი შერცხვა? ხვალ უეჭველად გამოვკითხავ: აქ რაღაც საიდუმლო ამბავიაო... გადასწყვიტა ლიზამ.

(დასასრული იქნება)

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

გერმანიაში ამ ჟამად დიდი ლაპარაკია და დიდი ბაასი საგიმნაზიო განათლების შესახებ. როგორც ჩვენს მკითხველებსაც მოეხსენებათ, ეს გიმნაზიის პროგრამის შეცვლის საქმე გერმანიის იმპერატორმა ითავა და ამის შესახებ ორი ფრიად შესანიშნავი სიტყვაც წარმოსთქვა. აი ამავე საგნის შესახებ ამას წინად ფრიად საყურადღებო სიტყვა წარმოუთქვამს გერმანიის ყველაზედ მოხუცს და ყველაზედ განთქმულს პროფესორს, ცნობილს მეცნიერს რუდოლფ ვირხოვს. ამ შესანიშნავს კაცს, რომელიც აგერ ორმოცს წელიწადზედ მეტია პროფესორად ითვლება, განსაკუთრებით უფრო ძველის ენების სწავლებისათვის მიუქცევია ყურადღება. უწინარეს ყოვლისა ვირხოვს ის უთქვამს, რომ ამ ბოლოს დროს ლათინური ენა თითქმის სრულიად ამოეკვეთა გერმანიის უნივერსიტეტებიდგანაო.

როცა მე ვიყავი სტუდენტად, ლათინური ენა იმდენად ჰმეფობდა, რომ ზოგიერთს ლექციებს ლათინურს ენაზედაც-კი გვკითხავდნენ. ეს გავრცელება ენისა იმ მხრით იყო სასარგებლო, რომ ყველა მხრის სწავლულებთან ლაპარაკი შეგვეძლო. ამას სხვათა შორის უკანასკნელი სამკურნალო კონგრესიც ამტკიცებს, რომელზედაც იტალიის მინისტრმა ბაჩჩელიმ თავისი სათქმელი ლათინურს ენაზედა სთქვა. ჩვენს დროს ამისთანა ამბავს იშვიათად შეხვდებოდით... გგონებ ეხლახანა სთქვა ჰელმჰოლცმა, რომ ის ლათინური საეჭვო ლათინური იყოვო? შეიძლება, მაგრამ ერთმანეთისა მაინც გვესმოდა და გვეყურებოდა. ეხლა ძველი ჩვეულება თანდათან ისპობა. აღარ ისმის ლათინური ლექციები, ლათინურ დისერტაციასაც ძნელად გაიგონებთ. ეხლა ჩვენ, ექიმები, ჩვენს ლათინურის ენის ცოდნას მარტო ოდენ რეცეპტების დაწერაზედ-ღა თუ ვხმარობთ.

თუ იკითხავთ, რა მნიშვნელობა აქვთ მეცნიერ ექიმისა და ბუნების-მეტყველისათვის კლასიკურს მწერლებს, უნდა მოგახსენოთ, რომ რომის ყველა მწერალთა შორის ჩვენთვის საინტერესო და საყურადღებო მხოლოდ ერთად-ერთი პლინიაა. თუ ექიმი, ან ბუნების-მეტყველი თავისის მეცნიერების ისტორიის საცოდნელად სასარგებლოდ დაინახავს კლასიკურის ენის შესწავლას, პირველობას ისევ ბერძნულს ენას დაუთმობს და არა ლათინურს. ჩვენის მეცნიერების სამშობლო მცირე აზიაა, იქ დაიბადნენ ძველი მწერლები, ჰიპოკრატიდგან დაწყებული. იმათს ნაწერებს მაინცა და მაინც არც ისეთი დიდი მნიშვნელობა აქვთ: ბუნების-მეტყველისა და ექიმისათვის ძველი ლიტერატურა ცოდნის წყარო-კი არა, იმ ცრუ-მორწმუნეობათა წყაროა, რომლის სათავის ცოდნაა საჭირო, რომ მერე უკეთ ებრძოლოს და გაუმკლავდეს კაცი. საჭიროდ მიმაჩნია განვაცხადო, რომ ჩვენთვის, ექიმთათვის, ძველის ენების ცოდნა არაფრად გამოსაყენებელია ცხოვრებაში და არც იმდენად საჭიროა ძველის მწერლების იმ ენაზედვე წაკითხვა, რა ენაზედაც უწერიათ, თარგმანის მაგიერ, რომ ამისთვის რამდენისამე წლის შრომა და ჯაფა დაიკარგოს. გიმნაზია იმდენად მცირე სწავლას აძლევს თავის მოწაფეებს ამ ენებისას, რომ მეცა და ჩემს ამხანაგებსაც აქამდის გვიკვირს და გვეოცება, რად მოსტირიან ასე დიდად ამ ენებს.

პატივცემული პროფესორი იმ აზრისაა, სასწავლებელმა ისე უნდა აღზარდოს ყმაწვილი, რომ ცხოვრებაში სიკეთის მოტანა და სასარგებლოდ ყოფნა შეაძლებინოს. თუ ამას შეიძლებთ ძველის ენების გაკვეთილებით, დიდად კეთილი; ხოლო თუ აგრეა, ნამდვილად შეასწავლეთ ეგ ენები მაინც და მარტო საგრამატიკო წესებით ნუ გამოუშრებთ გონებას. აწინდელს სასწავლებელს ის დიდი და უშველებელი ნაკლი აქვს, რომ არ ასწავლის ყმაწვილს თავისით, თავისის ძალითა და ღონით ქვეყნად მოქმედებასა და უნარის გამოჩენასაო. აი რა უთქვამს მხცოვანს პროფესორს იმის შესახებ, ნება დაერთოთ თუ არა რეალურს გიმნაზიებში ნასწავლთ უნივერსიტეტებში ყოფნისაო. ჩვენ, მართალია, გვინდა, შეიცვალოს პროგრამა სწავლისა, მაგრამ ისეკი, რომ

სრულიად, ძირიანად შეიცვალოს ეს პროგრამა. ჩვენთვის არაფრად საყურადღებოა კამათი და ბაასი იმის შესახებ, ერთი საათი მეტი სწავლისა ამა-და-ამ საგანს მივკეროთ, თუ იმა-და-იმ საგანსო. თავი და თავი საგანი პროგრამის შეცვლისა, ჩვენის აზრით, ეს არ არის. ყველა ამ საქმის განმხილველმა და გამრჩევმა უპირველესად ის უნდა გაითვალისწინოს, სად უნდა მიჰყვანდეს განათლებას ადამიანი, საბოლოოდ რის შეთვისებას სცდილობს, აღზრდა რას უნდა წარმოადგენდეს და უნივერსიტეტი გიმნაზიიდგან გამოსულ და იმის კარზედ მიმდგარს ყმაწვილს კაცს რა ცოდნას უნდა სთხოვდეს. ამ ცოდნის შეძენას როგორ შეიძლებს ყმაწვილი — კლასიკურის წესით განათლების მიღებით, თუ რეალურ გიმნაზიის დამთავრებით? ეს ისეთი თვით ცხოვრების მიერ წინ წამოყენებული საკითხია, რომლის პასუხით დაკმაყოფილებასაც ეხლა მე ვერ შევიძლებ. მხოლოდ იმის თქმა შემიძლიან, რომ ჩვენ, პროფესორები იმ რეალურ გიმნაზიაში სწავლა-დამთავრებულ ყმაწვილებს, რომელთაც სამკურნალო მეცნიერების შეძენა ჰსურთ, წინ ვერ გადავუდგებით და ასეთის წინააღმდეგობისათვის არც არავითარი საბუთი და საფუძველი გვაქვს. პირიქით, რეალურ გიმნაზიებში ნასწავლთა შორის შეგვხვდრიან ისეთი ყმაწვილები, რომელთაც თავისის ნიჭით, ბუნების მეტყველების მეცნიერების შეძენის უნარითა და მხნეობით აღტაცებაში მოუყვანივართო.

## უცხოეთი

ავსტრი-ვენგრია. პოლშელი ფინანსთა მინისტრი დუნაევსკი დაეთხოვა თავის თანამდებობას და მის მაგიერ დანიშნულ იქმნა შტეინბახი. შტეინბახი ესრედ-წოდებულის სახელმწიფო სოციალიზმის მომხრეა. ზოგნი ნამდვილ სოციალისტს ეძახიან. მაგრამ მისი სოციალისტობა, რასაკვირველია, შორს არის, მარქსისა და ლიბკნეხტის სოციალისტობაზე. მაინც საყურადღებო ამბავია, რომ მინისტრად დაინიშნა ისეთი კაცი, რომელიც თავის ნაწერებში ჰქადაგებს, სახელმწიფო მოვალეა დაიცვას და დაიფაროს ქონებით ულონო და უძლური ქონებით ძლიერისა და ღონიერისაგანაო. ამ მხრით უფრო შესანიშნავია მისი თხზულება „Ueber die Pflichten des Besitzes“. ამ თხზულებაში, ავტორი სხვათა შორის ამტკიცებს, რომ მდიდარი მოვალეა ღარიბის წინაშეო. ბერძენთა ძველნი მწერალნი უქადაგებდნენ მდიდრებს, რომ ნაწილი თავიანთ სიმდიდრისა ეძლიათ ღარიბებისათვისაო. ასეთსავე აზრებსა ჰქადაგებდნენ: ქრისტე-მაცხოვარი, ძველნი და ახალნი მწერალნი და ფილოსოფოსნიო. სახელმწიფო ხარჯს ძველად მარტო ის აზრი ჰქონდა, რომ ასე შეკრებილის ფულით გასძღოლოდნენ სახელმწიფოს სხვა-და-სხვა საჭიროებას. ეხლა-კი სახელმწიფო ხარჯს ის აზრიცა აქვს, რომ მის შემწეობით უფრო თანაბრად განაწილდეს მკვიდრთა-შორის საერთო სიმდიდრე ქვეყნისაო. ამიტომ მე ვარ მომხრე იმ მოძღვრებისა, რომელიც ამბობს, რომ შემოსავლის მიხედვით დაედოს ყველას ხარჯი: ესე იგი, ვისაც დიდი შემოსავალი აქვს, ხარჯიც იმან გაიღოს მეტიო. ამის გარდა ხარჯი უნდა დაედოს იმ ქონებასაც, რომელიც მემკვიდრეობით რჩება ერთს მეორესაგან, თუ იგი ქონება ძლიერ მცირე არ არის. ხარჯი უნდა დაედოს აგრეთვე ვაჭრობასაო. შტეინბახის აზრი იჰერინგის აზრს არ ეთანხმება ბევრში. იჰერინგიც იმასვე ამბობს ხარჯისა და ბეგრის შესახებ, რასაც შტეინბახი. იჰერინგის აზრით, სწორედ სახელმწიფოა მოვალე, რომ ისე აწარმოოს ხარჯის გაწერის საქმე, რომ ცოტად თუ ბევრად თანაბრად განაწილდეს სიმდიდრე თითოეულთა-შორისაო. სახელმწიფომ უნდა თვალი ადევნოს იმ მოძღვრებაზე, რომელსაც ჰქვიან საკუთრების შესახები მოძღვრება. ეს მოძღვრება, მართალი თუ გინდათ, არის მოძღვრება უზნეობისა, სიხარბისა და ეგოიზმისაო. შტეინბახი ამბობს, რომ ჩვეულებრივის შრომით თავის დღეში კაცი ვერ შეიძენს სიმდიდრეს, თუნდ მეურნეობას მოეკიდოს, თუნდ ხელობას და თუნდ გონებით ილვაწოსო. სიმდიდრეს იძენენ უფრო იმით, რომ გამოიყენებენ ხოლმე რომელსამე ახლად მოგონილს მანქანასა და იარაღს, მოიპოვებენ ოსტატურის ოინებითა, გეშეფტებითა და მოხერხებულის სპეკულიაციითაო. თუ გვინდა, რომ მოვსპოთ სოციალიზმი და კომუნიზმი, მდიდრებმა უნდა შეასრულონ თავიანთი მოვალეობა ღარიბების წინაშეო.

## წვრილი ამბები

ამ ხანად ბელგიის ტახტის მემკვიდრე, პრინცი ბალდუინი გარდაიცვალა. გაზეთებმა ხმა დაჰგდეს, რომ პრინცი გარდაიცვალა ძალდატანებით ე. ი. ის მოჰკლესო. თუმცა გაზეთების მიერ გავრცელებულს ხმას ოფიციალურად უარჰყოფდნენ, მაგრამ საზოგადოებაში მაინც გაზეთებიდამ ამოკითხული ამბავი სწამდათ. ამასობაში ზოგიერთა გაზეთში დაწვრილებით იყო აწერილი პრინცის გარდაცვალების ტრაგიკული ამბავი. ბეჭდვითი სიტყვის წარმომადგენელთა უფრო დარბაისელმა ნაწილმა ამ ამბავს ეჭვის თვალით შეჰხედა, მაგრამ ამ დღეებში პარიჟის ერთს დრო-გამოშვებითს გამოცემაში, რომელსაც „Parisier Post“-ი ეწოდება, დაჰბეჭდეს წერილი, სრულიად დამამტკიცებელი საზოგადოებაში გავრცელებულის ხმისა, რომ პრინცი ნამდვილად მოჰკლესო. „პრინცი ბალდუინი, — სწერს ეს გაზეთი, — მოხიბლული და გატაცებული იყო ერთი მომღერალი ქალის, სანდერსონის სიყვარულით, რომელსაც ჰმფარველობდა და ჰპატრონობდა თავადი დე-ლ... მეფემ გაიგო თუ არა ეს ამბავი, მისი მმისწული ასეთს სისულელეს აჰყოლია, ძლიერ შეწუხდა და გადასწყვიტა მიეცა იმისათვის მაიორის ჩინი და ანტვერპენში გაეგზავნა. პრინცმა ამ წყალობის მიღება დიდის მადლობით იუარა, ხოლო ანტვერპენში-კი მაინც გაემგზავრა. გავიდა რამდენიმე ხანი და ისევ ბრიუსელში დაბრუნდა და ერთს სასტუმროში ჩამოხდა, სადაც მისი ტყვემქმნელი მიჯნური, ქალბატონი სანდერსონი ელოდა. ეს გაიგო თავადმა დე-ლ... რომელიც აღიჭურვა დამბაჩით, მივარდა პრინცს და ესროლა დამბაჩა. ტყვია პრინცს მუცელში მოხვდა, მაგრამ იმდენი მაინც მოახერხა, რომ გარედ გამოვარდა და კიბეზედ დაეშვა, აქ-კი ღონემ უმტყუნა, წაიქცა, დაგორდა და ქვემო სართულში ჩავორდა, საიდამაც მოსამსახურეებმა აიყვანეს. აღმოჩნდა, რომ პრინცს ფეხი ჰქონდა მოტეხილი. სასტუმროში ამ ამბის გამო დიდი აღიაქოთი, დიდი ლაპარაკი და და ღრიანცელი მოხდა. საღამოს სასახლიდამ სასტუმროში ბრძანება მიიღეს, რომ არავის უთხრათ და არსად გაამხილოთ, რაც დღეს მანდ პრინცს შემთხვევიო, მაგრამ გვიანღა იყო, ეს საიდუმლო ბევრმა იცოდა. ობერ-გოფმარშალმა დაჭრილი პრინცი სასახლეში წაიყვანა, სადაც საღამოს გარდაიცვალა. იმავე ღამეს სასახლეში ბრიუსელის ყველა გაზეთების რედაქტორები დაიბარეს და უბრძანეს, რომ ამ უსიამოვნო ამბის გამო ხმა არ ამოიღოთ და კრინტი არ დასძრათო, მაგრამ საუბედუროდ ერთის ადგილობრივის გაზეთის „Peuple“-ს რედაქტორი დაავიწყდათ და არ მიუწვევიათ. მეორე დღეს ამ გაზეთში ვრცელი წერილი იყო დაბეჭდილი პრინცის მოკვლის გამო. თუმცა-კი ამ გაზეთსაც ჩქარა გააბათილებინეს ეს ამბავი. ამასთანავე ქალბატონი სანდერსონიც პარიჟს გაისტუმრეს. ამ ამბავმა საზოგადოებაში გავრცელებული ხმები უარესად გაამწვავა და ამიტომ ეს მომღერალი ქალი პარიჟიდამ ისევ ბრიუსელში დაიბარეს, მაგრამ პრინცის სიკვდილს ისე ძლიან ემოქმედნა მომღერალ ქალის გრძნობა-გონებაზე, რომ ადრინდელსავით სასიამოვნოდ ვეღარ მღეროდა. ამ გვარი რომანი შემთხვა პრინცს და მიუხედავად ამისა ბრიუსელის ბეჭდვითი სიტყვის წარმომადგენელნი აქამდე საიდუმლოდ ინახვენ ამ ამბავს, თუმცა-კი იმათი საჩუმე სრულიად არ არღვევს საზოგადოებაში გავრცელებულს ხმას, არამედ, პირ-იქით ამტკიცებს კიდეც.

## წერილი რედაქციის მიმართ

გიგზავნით სამოც-და-ცამეტს მანეთს და ათს კაპეიკს (73 მ. 10 კ.), რომელიც — 65 კაპეიკის თანდამატებით ამ ფულების ფოსტით გამოგზავნისათვის შემოვიდა წარსულის თვის 29 იანვარს გამართულის წარმოდგენისაგან და რამდენისამე კაცის შემოწირულებით. ყველა ეს ფული დანიშნულია ჩვენის ისტორიკოსის დიმ. ბაქრაძის ფონდის სასარგებლოდ და გთხოვთ გადასცეთ დანიშნულებისამებრ.

ამ ფულთან ერთად გიგზავნით გაზეთში დასაბეჭდათ ანგარიშს წარმოდგენისას და ფონდის სასარგებლოდ შემომწირველთა სიას.

29 იანვარს წარმოდგენისათვის 132 ბილეთი იყო დამზადებული, სულ 130 მანეთისა და 80 კაპეიკისა. გაიყიდა ეს დამზადებული ბილეთები მხოლოდ 81 მანეთის 75 კაპ.; ამას გარდა წარმოდგენის დროსვე კიდევ გასაჩუქდა ოთხი ორ-აბაზიანი (1 მ. 60 კ.) ბილეთი; გაუყიდველი ბილეთები დარჩა 49 მანეთის და 5 კაპეიკისა. სრულიად შემოვიდა ბილეთების გაყიდვით 83 მანეთი 35 კაპ. დაიხარჯა: ა) სცენის დადგმისა და გაგანათება-გათბობისათვის 8 მანეთი (სცენის დამდგმელს გარიგებისამებრ უნდა მიეღო 12 მანეთი, მაგრამ ზოგიერთა სცენის მოყვარის თხოვნით შემდეგ ოთხი მანეთი დაიკლო, რისთვისაც დიდს მადლობასა გწირავთ; ბ) აფიშების დაბეჭდვაში — 4 მანეთი; გ) პარიკმახერს — 2 მანეთი; დ) კლუბის სადგომის შეკეთებისათვის მღესველს — 1 მანეთი და ე) მუშებს სკამების გადატან-გადმოტანის და წარმოდგენის დროს დახმარებისათვის — 1 მ. 60 კაპ. სულ — 16 მანეთი 60 კაპ.; წმინდა შემოსავალი, ამ ხარჯს გარეშე დარჩა 66 მანეთი და 75 კაპ., რომელიც გეგზავნებათ დ. ბაქრაძის ფონდისათვის.

აქვე საჭიროა მოვიხსენიოთ ის პატივ-ცემულნი კაცნი, რომელნიც დიდის გულ-მოდგინებით შეუდგნენ წარმოდგენის საქმეს და, სხვა-და-სხვა დაბრკოლებებ მიზეზის მიუხედავად, აასრულეს თავისი კეთილი წადილი. ესენი ბრძანდებიან: ქ-ნნი ელ. ი. ჭიჭინაძისა, ელ. გ. კეკელიძისა, მ. ი. აღაპოვისა; ბ-ნნი კანო მიხ. გომელაშვილი, სოსიკო თ. ერისთავი, კლ. ისკ. იმნაძე, თეოფილე გოგიტიძე, ილ. ქ. თაყაიშვილი და სხვ. განსაკუთრებით მადლობის ღირსია ქ-ნი ე. გ. კეკელიძისა, რომელმაც თავ-და-პირველად დაიწყო ზრუნვა წარმოდგენისათვის და შრომაც ბევრი მიიღო განზრახულის საქმის დასაბოლოვებლად. სასურველია, მერმისშიაც ამ ქ-ნს აქაურის ქალების დახმარებით არ გაექვირებოს ჩვენის პატარა ქალაქისათვის ამ გვარი გონივრული და სასარგებლო დროს გატარება.

როგორც სხვა ამგვარს შემთხვევაში, ისე ეხლაც დახმარება აღმოუჩინა სცენის მოყვარეთ პატივცემულმა გნიაკნა ელ. კონსტ. გურიელისამ, რისთვისაც (სცენის მოყვარენი) დიდს მადლობასა სწირავენ. მადლობის ღირსია აგრეთვე დახმარებისათვის ივ. ან. არონიშიძე.

ზემოხსენებულ ფონდის სასარგებლოდ სიამოვნებით შემოსწირეს: თავ. გ. დ. გურიელმა — 3 მანეთი, კას. სოფ. ხუნდაძემ — 3 მანეთი და ან. სერ. ბეგაზიდოვმა — 1 მანეთი, სულ 7 მანეთი.

დასასრულ უნდა მოვიხსენოთ ისიც, რომ ამ წარმოდგენის შესახებ უსაფუძვლო ამბავი იყო აქედამ მოწერილი და თქვენის გაზეთის სიმართლის აღსადგენად გთხოვთ ეს წერილი დაბეჭდოთ.

წარმოდგენის გამართვის მონაწილე

ქ. ოზურგეთი

## დეპეშა

16 თებერვალი

პეტერბურგი. ბრიუსელში შესდგა კომიტეტი მდიდარ ბელგიელთ ფირმის პატრონთაგან მოსკოვს მუდმივ

საზოგადო, საერთა-შორისო გამოფენაში მონაწილეობის მისაღებად. კომიტეტის საპატიო პრეზიდენტად არჩეულ იქმნა ბელგიის მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრი.

ბელგრადი. აქაურმა მთავრობამ დაიჭირა რამდენიმე ვაგონი, რომელიც სავსე იყო ყუმბარებით და ავსტრიიდამ მიჰქონდათ ბოლგარიაში, ვითომ და შაქარი მიგვაქვსო.

პარიჟი. „ჰავასის სააგენტო“ იუწყება, რომ საფრანგეთის მთავრობას არაფრით არ დაუტანებია ძალა ფრანგ მხატვრებისათვის, რომ ბერლინის სამხატვრო გამოფენაში მონაწილეობას ნუ მიმღებთო.

ბუქარესტი. რადგანაც სენატმა კენჭის ყრით გადასწყვიტა, რომ გადასინჯვა კანონ-პროექტისა საერო განათლების შესახებ გადადებულ იქმნას, მინისტრმა დათხოვნის ქაღალდი შეიტანა.

ბელგრადი. ავსტრიიდამ ბოლგარიაში გაგზავნილი ყუმბარები გაატარეს, რადგანაც ცალიერები იყო.

ვაშინგტონი. სენატმა დაამტკიცა ემიგრაციის შესახებ წარდგენილი ბილლი. წარმომადგენელთა პალატის მიერ დამტკიცებული კანონი გადმოსახლებას უკრძალავს იმათ, რომელნიც ამისათვის შემწეობა მიღებული აქვთ, რადგანაც, შეიძლება, აქაურს მკვიდრს ტვირთად დააწვნენო და აგრეთვე მრავალ ცოლიანებს.

ლონდონი. ბომბეიდამ დეპეშით იუწყებიან დღეს, რომ დიდნი მთავარნი ალექსანდრე და სერგეი მიხეილის ძენი ბანგალარაში მობრძანდნენ და აქედამ მისარში აპირებენ წავლას სანადიროდ.

17 თებერვალი

„Journal de St. Pétersbourg“-ი ამბობს, რომ იმ უსიამოვნო ამბავმა, რომელიც პარიჟში მოხდა, ესე იგი საფრანგეთის მხატვრების უარმა, ბერლინის გამოფენაში მონაწილეობას არ მიიღებთო, მცირეოდენი ჩრდილი მიაყენა გერმანიისა და საფრანგეთის ერთმანეთობას.

ბერლინი. „Norddeutsche Algemeine Zeitung“-ი ამბობს: ის გარემოება, რომ გერმანიის მწერლობამ ასე ერთგულად და ერთ-სულად დაიწყო ლაპარაკი საფრანგეთის მხატვრების საქციელის შესახებ, წინდია იმისი, თუ ვინიცობაა გერმანიის ერს მოუხდა დაცვა თვისის ღირსებისა, ყველა გერმანელი შეერთდება სა ერთო სამშობლოს კეთილ-დღეობის აზრითაო. რეიხსტაგში, როცა ლაპარაკი ჩამოვარდა სამხედრო ბიუჯეტის შესახებ, კანცლერმა სთქვა: რაც შეგვეძლიან, ყველაფერს ვაკეთებთ, რათა სვინდისი წმინდა გვქონდესო; მაგრამ ისიც გვინდა, რომ ხელიც ძლიერი გვქონდეს,—ღმერთმა-კი დაგვიფაროს იმ შემთხვევისათვის, თუ ჩვენი ხელ-ღონიერობა საჭირო შეიქმნაო.

პარიჟი. საფრანგეთსა და გერმანიას შორის ჩამოვარდნილ უსიამოვნო ამბის გამო, გაზ. „Temps“-ი ამბობს, რომ კამათობა ეხლა უსარგებლოა, ხოლო რაც მოხდა, ის კარგი ჭკუის მასწავლებელია შემდეგისათვის. გაზეთი სწუხს, რომ ქვეყნის და საზოგადოების აზრმა თავისუფლება არ მისცა მხატვრებს, წასულიყვნენ ბერლინს, თუ სურვილი ჰქონდათ ამისიო. საშიშია ასე ატკეცა ერისა მაშინ, როცა საქმე საერთა-შორისო საგანს შეეხებაო. საზოგადოდ პარიჟის გაზეთები დამშვიდებით ლაპარაკობენ ამ უსიამოვნების გამო.

18 თებერვალი

პეტერბურგი. გაზ. „Нов.“-ი სწერს, რომ რუსეთის ბევრს მხატვარს განუცხადებია სურვილი ბერლინის სამხატვრო გამოფენაზედ მონაწილეობის მიღებისა და რუსეთის განყოფილება, იმედია საინტერესო იქნება როგორც რიცხვითა, ისე ღირსებითაცაო.

პეტერბურგის ბირჟა, 15 თებერვალი

| | მყიდველნი<br>მან. კ. | გამყიდველნი<br>მან. კ. | გარიგება<br>მან. კ. |
|---|---|---|---|
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . | 6 84 | 6 87 | — „ |
| ტამოჟნის კუპონები . . | 137 | 137 1/2 | — „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | 1 06 | 1 08 | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | 237 | — „ | — „ |
| —მეორისა . . . . | 228 | — „ | — „ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის ფურცელი . . . . . | 215 1/2 | — „ | — „ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | 102 1/4 |
| ქუთაისის ბანკისა . . | — „ | — „ | 102 1/4 |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა. . . . | 97 12 | — „ | — „ |

# განცხადებანი

## მიბაძვა ქრისტესი,

თომა კემპელისა

თარგმნილი ლათინურიდგან

პ. ა. მღებრიშვილის მიერ.

წიგნი I, II, III და IV ისყიდება შემდეგს ქალაქებში:

თბილისში: „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში, სამღვდელო წიგნთ-საკითხავში და ქართველთა წიგნის გამომცემ ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში.

გორში: არ. კალანდაძის სტამბასა და ზ. ღონღაძის მაღაზიაში.

ქუთაისში: ძმ. ჭილაძეებისა და ძმ. წერეთლების წიგნის მაღაზიაში.

ხონში: ძმ. წერეთლების წიგნის მაღაზიაში.

ოზურგეთში: გ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში.

ბათუმში: მ. ნიკოლაძის წიგნის მაღაზიაში.

ახალციხეში: ძველს ქალაქში სომეხთა-კათოლიკე მღვდელ გვარამაძესთან.

მოზდოკში: კათოლიკეთა მღვდელ-პატრ ვ. მუთაფოვთან.

ცხინვალში: დურმიშხან ყურულთან.

ფასი მთელის წიგნისა ყდით და ოთხის სურათით 1 მ. 50 კ., უყდოდ და უსურათოდ 1 მ. (10—2)

გამოვიდა და ისყიდება

მხოლოდ „წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში“

## პატარა კახი

ისტორიული ხუთ-მოქმედებიანი დრამა ლექსად

აკაკისა

ფასი 50 კაპ.

„წერა-კითხვის საზოგადოების“

წიგნის მაღაზიამ

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| სალხური ზღაპრები შეკრებილი აღნიაშვილის მიერ . | „ | 30 |
| ლექსები ნ. ბარათაშვილისა ახალი გამოცემა . . . | „ | 30 |
| რამდენიმე ლექსი ცხვედისა. | „ | 15 |
| საქართველოს დიდი კალენდარი ვ. გუნიასი 1891 წ. | „ | 40 |
| სახალხო ჯიბის კალენდარი მისივე . . . . . | „ | 10 |
| თხზულებანი გ. ერისთავისა მშვენიერს ყდაში ავტორის სურათით. . . . . | 2 | „ |
| ქართულ-რუსული ლექსიკონი დ. ჩუბინაშვილისა სამივე ნაწილი . . . . . . | 8 | „ |
| ქართული ლექსიკონი შედგენილი საბა-სულხან ორბელიანისაგან . . . | | „ |
| გზა ცხოვრებისა შედგენილ წმიდისა ალ. ლიგუორისაგან . . . . . . | 1 | „ |
| [illegible] სამძღვარი ზეცისა. . . | „ | 50 |
| წმიდათა ცხოვრება . . . | 1 | 20 |
| იგავნი ფილოსოფოს ეზოპისა . . . . . | „ | 40 |
| სიბრძნე კაცობრივი . . . | 1 | „ |
| ბრძნული აღარ . . . . . | „ | 30 |
| მოკლე სახელსაქვსნელო ფრანგული ენისა. ყდით . . | „ | 50 |
| მოკლე ფრანგული გრამატიკა. | „ | 40 |
| მოკლე მსოფლიო ისტორია ძველთა და ახალთა ნათესავთა დასაბამიდგან სოფლისა ვიდრე დღევანდლამდე. ყდით. . . . | 1 | 20 |
| მოკლე გეოგრაფია ფიზიკებრივი, მოქალაქებრივი და ისტორიებრივი დამატებითი ძველი გეოგრაფიისა . . | „ | 50 |
| მოკლე ქართული გრამმატიკა დამატებით გრამმატიკური და ლოღიკური ანალიზებისა . . . . . . | „ | 40 |
| მოკლე რეტორიკა, გინა მჭევრმეტყველება სასარგებლოდ ახალგაზრდა ყმაწვილ-კაცისა. ყდით. . . . . | „ | 50 |
| მოკლე ფილოსოფია, გინა სიბრძნის მოყვარეობა, რომელიც შეიცავს ფსიხოლოღიას, ლოღიკას, ბუნებით ღვთის მეტყველებას და ზნეობას. ყდით . . | „ | 50 |
| წამება ლექსად თქმული ცხოვრება წმიდისა ესტატისა. ყდით . . . . . . | „ | 60 |
| ყვავილების კონა, ანუ რჩეული ლექსები სასარგებლოდ ახალგაზრდა ყმაწვილ კაცთა. | „ | 50 |
| საქართველოს სამოთხე საბინინისა ოცდა შვიდი სურათით . . . . | 10 | „ |
| Книга Калилаh и Диманаh или сборникъ Басенъ извѣстныхъ подъ именемъ басенъ Бидпая, переводъ съ арабскаго М. О. Аттая и М. В. Рябинина, цѣна. . . | 3 | „ |
| Матеріалы для русской исторіи, С. Ал. Бѣлокурова . . . . . . . | 3 | „ |
| Сношенія Россіи съ Кавказомъ, С. А. Бѣлокурова . . . . . . | 3 | „ |
| Поѣздка старца Арсенія Суханова въ Грузію 1637—1640 гг. . . | „ | 25 |


საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## ივერია

1891 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 12 თვით . . | 10 მ. —კ. | 6 თვით . . . | 6 მ. —კ. |
| 11 „ . . . | 9 „ 50 „ | 5 „ . . . | 5 „ 25 „ |
| 10 „ . . . | 8 „ 75 „ | 4 „ . . . | 4 „ 70 „ |
| 9 „ . . . | 8 „ — „ | 3 „ . . . | 3 „ 50 „ |
| 8 „ . . . | 7 „ 25 „ | 2 „ . . . | 2 „ 50 „ |
| 7 „ . . . | 6 „ 50 „ | 1 „ . . . | 1 „ 75 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ, Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, არა საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონებმა არ მოითხოვეს, მერე რედაქციას აღარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმეს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.


„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში ისყიდება:

## დედა ენა და ბუნების კარი

გამოცემული „წერა-კითხვის საზოგადოების“ მიერ.

დედა-ენა, [illegible] პირველი საკითხავი წიგნი, გამოცემა მეშვიდე. ფასი ექვსი შაური.

ვინც ერთბაშად ნაღდს ფულზე იყიდის ოც და-ათს ან მეტს ცალსა, წიგნი დაეთმობა ხუთ შაურად.

ყდისათვის ყოველს წიგნზედ დაემატება ორი შაური. ხოლო ვინც ოც-და-ათს ან მეტს, ყდიანს „დედა ენას“ წაიღებს, თითო წიგნის ყდაში გამოერთმევა მხოლოდ რვა კაპეიკი.

„ბუნების კარი“, ანუ საკითხავი წიგნი, უმცროსს კლასებში სახმარებელი, მეექვსე გამოცემა. ფასი თხუთმეტი შაური.

ვინც ნაღდს ფულზედ იყიდის ათს ცალს, წიგნი დაეთმობა თოთხმეტ შაურად, ვინც ოცსა—ცამეტ შაურად და ვინც ოც-და-ათს—სამ აბაზად. ყდისა უნდა დაემატოს თითო წიგნზედ სამი შაური.

ვინც ტფილისს გარეშე წიგნს დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი თითონ მყიდველმა უნდა იკისროს.

მყიდველებმა ამ ადრესით უნდა დაიბარონ:

Тифлисъ. Въ книжный магазинъ Общества грамотности. Дворцовая ул., домъ Зем. Банка, № 102.

გამოვიდა და ისყიდება

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

## „ისტორიული ნარკვევი“

ანუ

ქრისტომატია საქართველოს ისტორიისათვის

შედგენ. ალ. ჭყონიას მიერ

ფასი 1 მან. 50 კაპ.

ქალაქს გარეთ ისყიდება: გორში—ირაკლი რამიშვილთან, ოზურგეთში—თავართქილაძესთან, ქუთაისში—წიგნის მაღაზიებში ჭილაძეებისა და წერეთლებისაში და ბათუმში—მათე ნიკოლაძესთან.

Тифлисъ, Дов. цен. 18-го Февраля 1891 г. Типографія Я. А. Мансвѣтова, на Лорисъ-Мелик. ул. домъ Мдивани. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.